საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნუგზარ სალიას* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	85	100

სახელი, გვარი:

თარიღი : 30/11-2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ნუგზარ სალიას შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ნუგზარ სალიას შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	ნუგზარ სალიას „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შესაფასებლად, წინამდებარე დასაბუთებაში დეტალურად არის განხილული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. რა დროსაც, ვიხელმძღვანელე კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილი თვისებებითა
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	

მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒		და მახასიათებლებით. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად, ვინაიდან არ გამოკვეთილა რაიმე ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მივიჩნიე, რომ იგი თითოეული კომპონენტის მიმართ უნდა შეფასდეს დადებითად. შესაბამისად, გავაკეთე დასკვნა, რომ ნუგზარ სალია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	17	25	ნუგზარ სალიას მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[1] შესწავლისა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი მეტნაკლებად იცნობს მატერიალურ და საპროცესო ნორმებს. იგი საჯარო მოსმენაზე ღიად მსჯელობდა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე და კანონმდებლობის დახვეწის მიზნით გვთავაზობდა საკუთარ ხედვასა და მიგნებებს, აგრეთვე, მოჰყავდა კონკრეტული მაგალითები საკუთარი პრაქტიკიდან. თუმცა, რიგ შემთხვევებში კანდიდატის პასუხები არ იყო სრულყოფილი და ამომწურავი. ამასთან, ზოგჯერ მის მიერ განვითარებული სამართლებრივი

[1] სამართლებრივი მოსაზრებები - „ნარკოპოლიტიკაზე, დაზარალებულზე, ავტოსატრანსპორტო მოძრაობის წესების დარღვევით ჩადენილ დანაშაულებზე, კონფლიქტებზე“.

			მსჯელობა იყო არათანმიმდევრული და არ შეესაბამებოდა დასმულ შეკითხვებს.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25	კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. იგი ამჟამად არის „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე და ეწევა საადვოკატო საქმიანობას. ამასთან, ნუგზარ სალიას მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებში საკითხები გაანალიზებულია არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები და მსჯელობა უმეტესად იყო დამაჯერებელი.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20	ნუგზარ სალია საჯარო მოსმენაზე გამოირჩეოდა გამართული მეტყველებითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარით. იგი ღიად და თავისუფლად აყალიბებდა საკუთარ შეხედულებებს. თუმცა, ზოგჯერ უჭირდა პოზიციის ნათლად და ლაკონურად გადმოცემა. ამასთან, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე მიმაჩნია, რომ მას აქვს აზრის გასაგებად გადმოცემის უნარი.
პროფესიული თვისებები	14	15	კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილი შთაბეჭდილების გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ იგი გამოირჩევა მიზანდასახულობით, პუნქტუალურობითა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული	10	10	ნუგზარ სალიას ცოდნის გაღრმავებისა და ახალი

წვრთნა			უნარების შეძენის მიზნით, მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა და სასწავლო კურსში.
პროფესიული აქტივობა	4	5	კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, ნუგზარ სალიას სამართლებრივ საკითხებზე მომზადებული აქვს სამეცნიერო მოსაზრებები. თუმცა, იგი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.
ქულათა ჯამი	85	100	

დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N1/207 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 დეკემბრის N1/237 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ნუგზარ სალია. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ნუგზარ სალია კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.

	აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ნუგზარ სალიას შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, ნუგზარ სალიას დახასიათების მიზნით მასთან სამსახურეობრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ნუგზარ სალიას შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი</u>* გამოკითხული რეკომენდატორები და ნუგზარ სალიასთან სამსახურებრივ, თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები კანდიდატის პირად თვისებებს აფასებენ დადებითად. აგრეთვე, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი არის კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე, პატიოსანი და აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და იგი ჯეროვნად ასრულებს როგორც სამსახურებრივ, ისე ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს. კერძოდ, მას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მის მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია და სხვ.

<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელი</u>

ნუგზარ სალიას დახასიათებისას რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი არის პრინციპული, მიუკერძოებელი და სამართლიანი. ამასთან, აღნიშნავენ, რომ კანდიდატს აქვს მტკიცე პიროვნული ხასიათი, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და არის ზეგავლენის მიმართ მედეგი. ნუგზარ სალიას პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობას რაც შეეხება, მოძიებული ინფორმაციის თანახმად, იგი არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც იგი გამოირჩეოდა პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობით.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელი</u>

ნუგზარ სალია საჯარო მოსმენაზე იყო გაწონასწორებული, კორექტული და ახერხებდა საკუთარი ემოციების მართვას. ამასთან, რეკომენდატორები კანდიდატის დახასიათებისას უთითებენ, რომ იგი გამოირჩევა თავდაჭერილობით, თავდაჯერებულობითა და ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილებით. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ნუგზარ სალიას წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა და იგი სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.

<u>პიროვნულ და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელი</u>

ნუგზარ სალიას პიროვნულ თვისებებს და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორი და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი კოლეგებში და საზოგადოებაში სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული

ინფორმაციის თანახმად, ინტერნეტ სივრცეში კანდიდატის შესახებ ძირითადად ხელმისაწვდომია ინფორმაცია საქართველოს პროკურატურაში მის საქმიანობასთან დაკავშირებით, ასევე, მედიით გავრცელდა ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში კანდიდატის მონაწილეობის შესახებ. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან დაკავშირებით მხოლოდ იმის აღნიშვნა არის შესაძლებელი, რომ ნუგზარ სალიას მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელი</u>

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ნუგზარ სალიას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ნუგზარ სალიას შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის

	თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. *<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის მახასიათებელი</u>* იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 15 ნოემბერს ნუგზარ სალიასთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი იყო თავდაჯერებული და კორექტული. ნუგზარ სალია სისხლის სამართლის პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით გამოხატავდა საკუთარ ხედვასა და მიგნებებს, ამასთან, საკუთარი პოზიციის ნათლად წარმოსაჩენად მოჰყავდა მაგალითები საკუთარი პრაქტიკიდან. იგი ღიად მსჯელობდა სხვადასხვა პრობლემურ სამართლებრივ საკითხზე და კანონმდებლობის დახვეწის მიზნით გვთავაზობდა საკუთარ ხედვასა და მიგნებებს. თუმცა, კანდიდატს გაუჭირდა ყველა დასმული შეკითხვისათვის პასუხის გაცემა. ამასთან, მის მიერ განვითარებული სამართლებრივი მსჯელობა რიგ შემთხვევებში იყო ზოგადი, არათანმიმდევრული და იგი სრულყოფილად არ პასუხობდა დასმულ შეკითხვებს. ამასთან, ნუგზარ სალიას მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლისა და საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი

[2] იხ. ნუგზარ სალიასთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=kaoovHpMR9s

	მეტნაკლებად იცნობს მატერიალურ და საპროცესო ნორმებს. თუმცა, მის მიერ გაცემულ პასუხებში იყო რიგი ხარვეზები და შეუსაბამობები. აგრეთვე, ნუგზარ სალიას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ცხადყოფს, რომ კანდიდატს აქვს პრობლემური და საყურადღებო საკითხების წარმოჩენისა და მისი თანმიმდევრულად გადმოცემის უნარი. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია). *<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის მახასიათებელი</u>* ნუგზარ სალიას აქვს ხანგრძლივი სპეციალობით მუშაობის გამოცდილება. იგი ამჟამად არის „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე და ეწევა საადვოკატო საქმიანობას. ამასთან, ნუგზარ სალიას მიერ მომზადებულ სამართლებრივი დოკუმენტებში თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული მნიშვნელოვანი საკითხები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საჯარო მოსმენაზე კანდიდატი საკუთარი პრაქტიკის გათვალისწინებით მოსაზრებებს, უმეტესად აყალიბებდა დამაჯერებლად და ნათლად, თუმცა, დასმული შეკითხვების ირგვლივ მსჯელობისას მას ზოგჯერ უჭირდა პოზიციის მყარად და არგუმენტირებულად დასაბუთება. *<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი</u>* ნუგზარ სალიამ საჯარო მოსმენაზე დატოვა კორექტული პიროვნების შთაბეჭდილება. იგი ძირითადად მეტყველებდა გამართულად და საკუთარ მოსაზრებებს გადმოსცემდა ღიად და თავისუფლად. ამასთან, გამოირჩეოდა სხვისი აზრის მოთმინების მოსმენის უნარით. თუმცა, რიგ შემთხვევებში მას უჭირდა საკუთარი პოზიციის ნათლად და ლაკონურად გადმოცემა. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის

	გაანალიზების შედეგად მიმაჩნია, რომ მას აქვს აზრის თანმიმდევრულად და გასაგებად გადმოცემის უნარი. ამასთან, შესწავლილ დოკუმენტში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. კანდიდატის წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარს დადებითად აფასებენ გამოკითხული რეკომენდატორები. ამასთან, აღნიშნავენ, რომ მას შეუძლია აზრის ნათლად და დასაბუთებულად გადმოცემა. *<u>პროფესიული თვისებების მახასიათებელი</u>* კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ნუგზარ სალია გამოირჩევა მიზანდასახულობით, პუნქტუალურობითა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის პროფესიულ თვისებებს დადებითად აფასებენ მასთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი პირები და უთითებენ, რომ იგი არის თავისი საქმის პროფესიონალი და როგორც წესი ღებულობს კვალიფიციურ გადაწყვეტილებებს. *<u>აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის მახასიათებელი</u>* ნუგზარ სალიას მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა. კანდიდატს სამართლებრივ საკითხებზე მომზადებული აქვს სამეცნიერო მოსაზრებები. თუმცა, იგი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ ნუგზარ

	სალიასთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე კანდიდატის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამმა, მაქსიმალური 100 ქულიდან, შეადგინა 85 ქულა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 30/11-2021